გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №4
2024 წლის 28 თებერვალი

ქ. გარდაბანი

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 აგვისტოს №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 აგვისტოს №28 დადგენილებით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 15/08/2022, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.161.016527) დამტკიცებულ დანართში და დანართის მე-10 მუხლს დაემატოს „ო“ პუნქტი:

„ო) „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, უზრუნველყოფს საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელების ხელშეწყობას.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის პირველი მარტიდან.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **მიხეილ გედეხაური**